

**ურთიერთთანამშრომლობის
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი**

ქ.თბილისი

N 2013 - 6/25

25 06 2013 წელი

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი" და შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის" ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის და ევროპესტიკის საბაკალავრო პროგრამების შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებისათვის ამავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უზრუნველყოფისა და ამავე პროგრამების განხორციელებისას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

შეთანხმების მხარეები:

ერთის მხრივ

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი" (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს მისი რექტორი, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი

მეორეს მხრივ

შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი", რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს მისი რექტორი, პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე

მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის და ევროპესტიკის საბაკალავრო პროგრამების განხორციელებაში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" და შპს - "თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს" შორის ურთიერთთანამშრომლობა ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის და ევროპესტიკის საბაკალავრო პროგრამების უწყვეტად განხორციელებისა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტში ამ პროგრამებზე არსებული სტუდენტებისათვის ამავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელებისათვის პირობების შექმნა, ასევე ამავე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას ურთიერთთანამშრომლობა (პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების რეალიზაცია, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების განსახორციელებლად გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებთან (ბიბლიოთეკა, კრიმინალისტიკური ლაბორატორია, იურიდიული კლინიკა და სხვ.) ხელმომწერი მხარეების სტუდენტების ურთიერთდაშვება და სხვ.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ერთ-ერთი პარტნიორი დაწესებულების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების შემთხვევაში, ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების

განსახორციელებლად ერთ-ერთი პარტნიორი დაწესებულება იღებს უფლებებსა და ვალდებულებებს უზრუნველყოს ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ამავე სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) თითოეული მხარე, მეორე მხარის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კონკრეტული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფს შესაბამისი რაოდენობის ადგილებს მასთან განხორციელებად საგანმანათლებლო პროგრამაზე, რაც მხარეებს სჭირდებათ;

ბ) ბიზნისის ადმინისტრირების, სამართლის და ევროპესტიკის საბაკალავრო პროგრამების გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებისათვის მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისათვის მიმღები მხარე, ახორციელებს ჩარიცხვას გამოცდის, გასაუბრების ან რაიმე სხვა სახის დამატებითი პირობების გათვალისწინების გარეშე. ასევე, მიმღები მხარე უზრუნველყოფს ვადამსვლელი სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას.

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმღები მხარისათვის გამოიკვეთა, რომ სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება მის საგანმანათლებლო პროგრამას, იგი შეიმუშავებს ინდივიდუალურ პროგრამას, რომლითაც მოხდება სწავლება და პროგრამის პროექტს უთანხმებს სტუდენტს.

დ) აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, მიმღები პარტნიორი დაწესებულება აფორმებს სტუდენტებთან სასწავლო-საგანმანათლებლო ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება ყველა ის წესი და პირობები, რაც დადგენილი იყო იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საიდანაც სტუდენტი გადმოდის;

ე) სტუდენტების გადაყვანის შემდგომ, მხარეები თანხმდებიან, რომ სწავლის საფასურის გადახდა მოხდება იგივე ოდენობით, რა ოდენობითაც ხორციელდებოდა მათი სწავლება პირველ დაწესებულებაში. ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებისა ან და პროგრამების განხორციელებაში დამდგარ გაუთვალისწინებელ ხარჯებს ანაზღაურებს გამშვები მხარე.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების განსახორციელებლად გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებთან (ბიბლიოთეკა, კრიმინალისტიკური ლაბორატორია, იურიდიული კლინიკა და სხვ.) ხელმომწერი მხარეების სტუდენტების ურთიერთდაშვება ხორციელდება მომთხოვნი მხარის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სტუდენტების ოდენობისა და დაშვების პერიოდის მითითებით;

- 2.3. დამშვები მხარე წერილობით ადასტურებს დაშვებას;
- 2.4. მომთხოვნი მხარე იღებს მატერიალურ პასუხისმგებლობას მისი სტუდენტების მიერ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაზიანების შემთხვევაში;
- 2.5. ლაბორატორიულ კაბინეტებში სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მომთხოვნი მხარის მიერ გამოყოფილ აკადემიურ/მონვეულ პერსონალთან ერთად.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 4 წლის განმავლობაში.

3.2. მემორანდუმი ავტომატურად გრძელდება ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ერთ-ერთი მხარე ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე წერილობით არ განაცხადებს უარს მემორანდუმის გაგრძელებაზე.

მუხლი 4. მემორანდუმის შეწყვეტა/მოშლა

4.1 მემორანდუმი შეწყვეტილად ითვლება:

- ა) ურთიერთშეთანხმებით;
- ბ) მხარეთა მიერ ახალი მემორანდუმის დადების შემთხვევაში, რომლითაც ძალადაკარგულად იქნება გამოცხადებული წინამდებარე ხელშეკრულება;
- გ) ამ მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4.2 მემორანდუმის მოშლა ფორმდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 5. სხვა პირობები

5.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

5.2. ამ მემორანდუმის კონკრეტული პირობების ცვლილებები ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, რომელიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

5.3. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს თბილისის სასწავლო

უნივერსიტეტი

თბილისი, 0112, ე. ნინოშვილის

55

რექტორი სოლომონ

პავლიაშვილი

(ხელმოწერი პირის გაშიფვრა)

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო

უნივერსიტეტი

თბილისი, 0144, ქ. ჩოლოყაშვილის ქ. 53

რექტორი ვალენტინა საყვარელიძე

(ხელმოწერი პირის გაშიფვრა)

ბ.ა.



ბ.ა.